



აკადემიური პერსონალის რაოდენობის  
განსაზღვრის მეთოდოლოგია

თარიღი	ივლისი 2019
თავი	0
გვერდი	1/9
ცვლილება	0

„დამატებითი“  
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის  
რექტორ-პროფესორი  
ს. ჯანაძე  
15.07.2019  
დადგენილება № 0615532/126


**საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი**  
**აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის**  
**მეთოდოლოგია**

ძირითადი ასლი

	აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია	თარიღი	ივლისი 2019
		თავი	1
	სარჩევი	გვერდი	2/9
		ცვლილება	0

## 1. სარჩევი

1. სარჩევი.....	2
i. ცვლილებები.....	3
ii. ცვლილებების ისტორია.....	4
iii. მოქმედი გვერდების სია .....	5
2. დოკუმენტაციის კონტროლი.....	6
2.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია.....	6
3. განმარტებები.....	7
4. ძირითადი ნაწილი .....	8
მუხლი 1. ზოგადი დებულებები.....	8
მუხლი 2. აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის პრინციპები .....	8
მუხლი 3. აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი გადანაწილების წესი .....	8


	აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია	თარიღი	ივლისი 2019
		თავი	i
	ცვლილებები	გვერდი	3/9
		ცვლილება	0

### i. ცვლილებები

ცვლილების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და რექტორის მონაწილეობით. შეცვლილი წესი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება ზემოაღნიშნული პროცედურის დარღვევით.

შედგენილია:	დამტკიცებულია:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	რექტორი
თარიღი:	თარიღი:

ამოღებული გვერდი				დამატებული გვერდი			
თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი	თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი

	აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია	თარიღი	ივლისი 2019
		თავი	ii
	ii. ცვლილებების ისტორია	გვერდი	4/9
		ცვლილება	0


## ii. ცვლილებების ისტორია

ცვლილების №	ცვლილების საფუძველი	შეცვლილი გვერდები	თარიღი	ცვლილების ინიციატორი



iii. მოქმედი გვერდების სია

თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი	თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი
0	1	0	ივლისი 2019				
1	2	0	ივლისი 2019				
i	3	0	ივლისი 2019				
ii	4	0	ივლისი 2019				
iii	5	0	ივლისი 2019				
2	6	0	ივლისი 2019				
3	7	0	ივლისი 2019				
4	8	0	ივლისი 2019				
4	9	0	ივლისი 2019				


	აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია	თარიღი	ივლისი 2019
		თავი	2
	დოკუმენტაციის კონტროლი	გვერდი	6/9
		ცვლილება	0

## 2. დოკუმენტაციის კონტროლი

დოკუმენტაციის კონტროლი ხორციელდება ხარისხის სახელმძღვანელოში გაწერილი წესებისა და პროცედურების მიხედვით. ამ წესებისა და პროცედურების მიზანია შეიქმნას სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მისცემს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას ორგანიზაციაში. ყველა კონტროლირებადი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და შეინახოს იმ ფორმატითა და წესებით, რომელიც გაწერილია ხარისხის სახელმძღვანელოში. ეს შექმნის პროცედურების სისტემას, რომელშიც დოკუმენტების შექმნა, განახლება და გავრცელება მოხდება ადვილად.

### 2.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია

ორგანიზაცია	ფორმატი	ასლის ნომერი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ბეჭდური	ძირითადი ასლი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
უნივერსიტეტის ვებ-გვერდი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია

	აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია	თარიღი	ივლისი 2019
		თავი	3
	განმარტებები	გვერდი	7/9
		ცვლილება	0

### 3. განმარტებები

- აკადემიური თავისუფლება – აკადემიური თავისუფლება – აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა უფლება, დამოუკიდებლად განახორციელონ სწავლება, სამეცნიერო კვლევა და სწავლა;
- აკადემიური ხარისხი – კვალიფიკაცია, რომელსაც პირს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დამთავრებისას ანიჭებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამა – (კურიკულუმი) – უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები;
- პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
- ასოცირებული პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა. ასოცირებული პროფესორი მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
- ასისტენტ-პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში;
- ასისტენტი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით;

	<b>აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია</b>	<b>თარიღი</b>	ივლისი 2019
		<b>თავი</b>	4
	<b>ძირითადი ნაწილი</b>	<b>გვერდი</b>	8/9
		<b>ცვლილება</b>	0

#### 4. ძირითადი ნაწილი

##### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე მეთოდოლოგიის მეშვეობით განისაზღვრება შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის რაოდენობის გამოთვლის მეთოდური საფუძვლები და წესი.
2. აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მიზნით რექტორის ბრძანებით, მიმდინარე ავტორიზაციის ვადით, ფაკულტეტებიდან არანაკლებ ერთი წარმომადგენლის მონაწილეობით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც წინამდებარე მეთოდოლოგიისა და წესის საფუძველზე წარმოადგენს დასკვნას აკადემიურ თანამდებობათა ზღვრული რაოდენობის შესახებ.
3. კომისია მხედველობაში ღებულობს აკადემიური თანამდებობის პირის დატვირთვის მოცულობებს (მოქმედი წესის მიხედვით) სტუდენტთა ჯგუფებისა და სასწავლო წლის გათვალისწინებით;
4. სამუშაო ჯგუფის დასკვნა აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის შესახებ წარმოადგენს აკადემიური პერსონალის ნაწილში სამტატო განრიგის კორექტირების საფუძველს.

##### მუხლი 2. აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის პრინციპები

1. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტის, აკადემიური პერსონალის სახელფასო სარგოსა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი საერთო აკადემიური საათების რაოდენობის (არანაკლებ 40 % და არაუმეტეს 75 %) შესაბამისად;
2. აკადემიური პერსონალის მაქსიმალური საერთო რაოდენობის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველყოფი აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას სტუდენტთა რაოდენობა, საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებები, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა გამოცდილება სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობის განსაზღვრის საკითხში;
3. უცხოეთიდან მოწვეული აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება უცხოენოვანი სტუდენტების არსებული და სამომავლოდ მისაღები სტუდენტების რაოდენობა და შესაბამისი აკადემიური დატვირთვა;

##### მუხლი 3. აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი გადანაწილების წესი

1. თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილი უნდა იყოს კვალიფიკაციის განმსაზღვრელ დარგში კომპეტენციის მქონე არანაკლებ 1 პროფესორით და 2 ასოცირებული პროფესორით, წინააღმდეგ შემთხვევაში დაუშვებელია უმაღლესი აკადემიური პროგრამის შემუშავება და განხორციელება;
2. აკადემიური პერსონალისთვის თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი და ასისტენტი) განაწილებისას გათვალისწინებული უნდა იქნას ბიუჯეტი, საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური, სტრუქტურა, თავისებურებები,



	აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია	თარიღი	ივლისი 2019
		თავი	4
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	9/9
		ცვლილება	0

საჭიროებები, კვლევებისა და სასწავლო კომპონენტის სპეციფიკა (თეორიული, პრაქტიკული, ლაბორატორიული, კვლევითი და სხვ.) მოცულობა;

3. აღნიშნული წესი არ ვრცელდება საპატიო დოქტორების, პროფესორებისა და აკადემიის ინტერესებიდან გამომდინარე მიზნობრივად მოწვეული მეცნიერებისა და პროფესორების რაოდენობაზე.
4. წინამდებარე წესი ამოქმედდეს 2019-2020 სასწავლო წლიდან.